სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/01

(ოქმი N1)

ქ. ბათუმი 18 იანვარი 2017 წ

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს წევრების ჰონორარის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 35[4] მუხლის მესამე პუნქტის თანახმად:

1. მიმდინარე 2017 წლის განმავლობაში სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს წევრთა (მრჩევლები) დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად საჭირო ხარჯების ოდენობა განისაზღვროს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-სათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის 3%-ის ფარგლებში, რაც შეადგენს 208 860 ლარს, ხოლო კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლების გადასახდელებიდან 3%-ის ფარგლებში 4 200 ლარს. ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 35[4] მუხლის მესამე პუნქტის თანახმად ჰონორარისათვის გამოყოფილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბიუჯეტის 2%-ს, შესაბამისად სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს წევრთა (მრჩევლები) ჰონორარისათვის გამოყოფილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 142 040 ლარს.

2. განისაზღვროს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს წევრთა ჰონორარის ოდენობა და დამტკიცდეს დანართი N1 შესაბამისად.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს მრჩეველთა საბჭოს 2016 წლის 15 აპრილის N01-01/06 (ოქმიN5) გადაწყვეტილების მე-2 პუნქტი, მრჩეველთა საბჭოს წევრთა ჰონორარის ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

4. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ვებ-გვერდზე ,,ajaratv.ge''.

5. გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2017 წლის 18 იანვრიდან.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მ/შ

რუსუდან (ნატა) იმედაიშვილი

დანართი N1

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს წევრთა (მრჩევლები) ჰონორარის ოდენობა

N	პოზიცია	რაოდენობა	ჰონორარი	სულ თვეში
1	მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე	1	2450	2450
2	მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე	1	2420	2420
3	მრჩევლები	3	2320	6960
	ჯამი			11830